

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #26

ქ. თბილისი

2023 წელი, 27 იანვარი, 11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ოთარ გრიგოლია, ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, მიხეილ კაკაურიძე, კონსტანტინე ზარნაძე, ლილე ლიპარტელიანი, მიხეილ კაკაურიძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ზაზა თავაძე, საბა ბუაძე, მამუკა გუგუშაშვილი (03-0323026204 – 26/01/2023), ნინო წულაძე (03-032302684 – 26/01/2023)

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქვარა ჩართოლანი - ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე
ირაკლი თავართქილაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი
ნინო ზაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე
ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე
ოთარ ჩიტიძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა №3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე №01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5397 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/ მათი უფლებამონაცვლეებისთვის დაინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ჯიერქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ. 405581375) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-032302462-03 24.01.2023)

2.	ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი №33 (ს/კ. №01.19.39.009.070), კორპუსი №34, (ს/კ.№01.19.39.009.007), კორპუსი №35 (ს/კ. №01.19.39.009.034), კორპუსი №36 (ს/კ.№01.19.39.009.088) და კორპუსი №37-თან (ს/კ. №01.19.39.009.092) დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე (საკრებულოს №12-0323011109-03 11.01.2023)
3.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0323025181-03-25.01.2023)
4.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0322364120-03 30.12.2022; №12-032302082-03 20.01.2023; №12-03230231-03 - 23.01.2023; №12-0323025104-03 25.01.2023; №12-032220211-03 - 21.07.2022 (გადადებული „ბ“ პოზიცია); 12-032230647-03 - 02.11.2022 (გადადებული „ე“ პოზიცია); 12-03230266-03- 26.01.2023)
5.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.21.753; №81.02.21.728; №81.02.21.729; №81.02.21.730; №81.02.21.731; №81.02.21.732; №81.02.21.733; №81.02.21.734; №81.02.21.752) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032302463-03 24.01.2023)
6.	ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №165-ში; ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.19.39.008.001; N01.19.39.006.210 –ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032302464-03 24.01.2023)
7.	ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.01.888) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032301043-03 10.01.2023)
8.	ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ალექსანდრე ცომაიას ქუჩა N5; N9-ში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ივანე გიგინეიშვილის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.01.02.595; N81.01.02.580; N81.01.02.618; N81.01.02.819; N81.01.02.590; N81.01.02.880; N81.01.02.581; N81.01.02.879; N81.01.02.857; N81.01.02.599; N81.01.02.945; N81.01.02.818) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N444 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03230268-03-26.01.2023)

9.	ქ. თბილისში, გახოკიდის ქუჩა N4-ში, N6-ის მიმდებარედარსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.005.005; N01.19.19.005.079) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმისგეგმარებითი დავალების პროექტისდამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03230267-03-26.01.2023)
10.	ქალაქ თბილისში, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.089) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03230264-03-26.01.2023)
11.	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.19.916; N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N624 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03230265-03-26.01.2023)
12.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032302539-03- 25.01.2023)
13.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „აშფორდ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405384463) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03230261-03-26.01.2023)
14.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტის“ (ს/ნ 404438649) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე “ (საკრებულოს №12-03230261-03-26.01.2023)
15.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „გმ გრუპის“ (ს/ნ 406305252) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03230261-03- 26.01.2023)

16.	ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ი.ბ.ა. „დიდგორი 2006“-ის (ს/ნ 205137449) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03230261-03- 26.01.2023)
17.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ვილასეტის“ (ს/ნ 200258577) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03230261-03- 26.01.2023)
18.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „მოლი პლიუსის“ (ს/ნ 406284248) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03230261-03- 26.01.2023)
19.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს შპს „სანამის“ (ს/ნ 402191150) მიმართ მისამართზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.005, ფართობი 588 კვ.მ); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ქ. 25- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.002, ფართობი - 843 კვ.მ); 3. ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N35/52-არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.014; ფართობი 2814 კვ.მ) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული მხარდაჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03230261-03- 26.01.2023)
20.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ლატისის“ (ს/ნ 404556119) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-0323026128-03- 26.01.2023)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა №3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე №01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5397 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/ მათი

უფლებამონაცვლებისთვის დაინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ჯიერქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ. 405581375) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-032302462-03 24.01.2023)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“) განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2022 წლის 4 ნოემბრიდან 2022 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა (შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა (შემდგომში - „სამშენებლო პროექტი“), მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა არაუმეტეს 4.2-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 2 300 კვ.მ-თ. აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2 (ორი) დაინტერესებული პირის განცხადება, ამასთან, "ჯიერ ქონსტრაქშენის" (ს/ნ: 405581375) მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 3300 კვ. მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) - უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წინადადებასთან მიმართებით. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს 2022 წლის 7 დეკემბრის № 61- 01223411804 წერილის საფუძველზე, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ჯიერ ქონსტრაქშენი" (ს/ნ: 405581375) (შემდგომში - „კომპანია“). მიზანშეწონილია განიმარტოს, რომ კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილებისას რიგითობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დადგენილია „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებით. კერძოდ, მითითებული განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ – ქონების მართვის სააგენტომ კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ორი კრიტერიუმით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსაზღვრული სარეიტინგო ქულით (შემდგომში - „სარეიტინგო ქულა“) ან/და ტერიტორიულობის პრინციპით. სარეიტინგო ქულის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე პირს, ტერიტორიულობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ უპირატესობა ენიჭება პირს, რომელსაც უნდა აშენებოდა კოოპერატიული საცხოვრებელი ბინა იმავე რაიონში, სადაც, კონკრეტული პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი მოიაზრებს დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილებას. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტი ადგენს გამონაკლისსაც და განსაზღვრავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, დაზარალებულ პირთა რიგითობა განსაზღვროს ამ ორი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (45 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას შედგენილი აქტების საფუძველზე, ხოლო მათთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართობი განსაზღვრულია გადასაცემი საცხოვრებელი ფართების პროპორციულად. განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების ოდენობა, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის ოდენობას. დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების პროცესში, აღნიშნული, გარკვეულწილად, განაპირობებს მათი რიგითობის განსაზღვრას. გადასაცემი ფართის ჯამური ოდენობის კონკრეტული რიცხვით შეზღუდვის გამო, საჭირო გახდა რამდენიმე კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართის შემცირება არაუმეტეს 2 კვ.მ-ით, რათა თითოეული მათგანის მიერ მისაღები ინდივიდუალური ფართი არ ყოფილიყო გადასაცემი ფართის ჯამურ ოდენობაზე მეტი. განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის

უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აცხადებს ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5397 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხსა და ხელშეკრულების პროექტზე, განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

- 2. ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი №33 (ს/კ. №01.19.39.009.070), კორპუსი №34, (ს/კ.№01.19.39.009.007), კორპუსი №35 (ს/კ. №01.19.39.009.034), კორპუსი №36 (ს/კ.№01.19.39.009.088) და კორპუსი №37-თან (ს/კ. №01.19.39.009.092) დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე [\(საკრებულოს №12-0323011109-03 11.01.2023\)](#)**

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონების გამგეობების მიერ სხვადასხვა წლებში მიღებულია გადაწყვეტილებები (შემდგომში - „გადაწყვეტილებები“), რომელთა მიხედვითაც, ფიზიკურ პირებს გამოეყოთ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070)/კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007)/კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034)/კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37 (ს/კ 01.19.39.009.092)-ში (შემდგომში - „წითელი აგურების კორპუსები“) აშენებული/ასაშენებელი საცხოვრებელი ფართები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პირების ნაწილს ფართები გამოეყო იმ გარემოების გამო, რომ გადაწყვეტილებების გამოცემამდე მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი კორპუსები ექვემდებარებოდა დანგრევას, ნაწილს კი გამოეყო საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით. ზემოხსენებული გადაწყვეტილებების ნაწილის საფუძველზე ვერ მოხდა აღნიშნული პირებისათვის საკუთრების უფლების გადაცემა მითითებულ ფართებზე. კერძოდ, გადაწყვეტილებების გამოცემის დროისთვის, წითელი აგურების კორპუსები იყო მშენებარე და აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებების მიღებისთანავე ვერ მოხერხდა გამოყოფილი ფართების ფიზიკური პირებისათვის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო, მშენებლობის დასრულებამდე, დროთა განმავლობაში, ხსენებულ კორპუსებში თვითნებურად შესახლდნენ ფიზიკური პირები, რომლებმაც დაიკავეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებში გათვალისწინებული ფართები. ასევე მოახდინეს ფართების ნაწილის დემონტაჟი ან/და სხვა ფართებთან გაერთიანება. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეის მდგომარეობით, გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ფართების ნაწილი არ არის აშენებული და დასრულებული. ყოველივე აღნიშნული კი ქმნის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ფართების იდენტიფიცირების პრობლემას. მიუხედავად გადაწყვეტილებებში მითითებული პირების მიერ არაერთი მცდელობისა, დაეკავებინათ და საკუთრებაში დაერეგისტრირებინათ მათთვის გამოყოფილი

ფართები, აღნიშნული ვერ განხორციელდა სწორედ თვითნებურად შესახლებული პირების მიერ ხელის შეშლის გამო. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ხსენებულ პირებს შორის არსებობს კონფლიქტური და დაძაბული სიტუაციები.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულმა რამდენიმე პირმამოახერხა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ, კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ საფუძველზე მოეხდინა ფართის პრივატიზება და შემდგომ საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) რეგისტრაცია. მიუხედავად საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული საკუთრების უფლებისა, აღნიშნული პირები მაინც ვერ ახერხებენ კუთვნილი ფართების ფლობას თვითნებურად შესახლებული პირების მიერ ხელის შეშლის გამო და ილაზხებამათი, როგორც მესაკუთრეების კანონიერი ინტერესები. გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირების დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა, მათთვის გამოყოფილ ფართებში ცხოვრობენ თვითნებურად შესახლებული პირები. გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირების ნაწილმა კიდევ სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოახდინა გამოყოფილი ფართების საკუთრებაში რეგისტრაცია, კერძოდ, ფართების/კორპუსების ნაწილი არ არის აშენებული და დასრულებული, ხოლო მათი ნაწილი დემონტირებულია ან/და გაერთიანებულია სხვა ფართებთან, აღნიშნული გარემოებების გამო, ასევე, არის ფართების იდენტიფიცირების პრობლემა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ის პირები ვისაც წლების განმავლობაში დაკავებული აქვთ წითელი აგურების კორპუსებში მდებარე ფართები და უდასტურდებათ მითითებული ფართების ხანგრძლივად ფლობის ფაქტი, მოცემულ უძრავ ქონებებზე გაცემული ზემოხსენებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობის გამო, ვერ ახდენენ საკუთრების უფლების რეგისტრაციას, კანონით დადგენილი ფორმით.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების რეგისტრაციის პრობლემა არსებობს როგორც გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირებისთვის, ასევე იმ პირებისთვისაც, ვინც წლების განმავლობაში ფაქტობრივად ფლობს აღნიშნულ ფართებს და ცხოვრობს წითელი აგურების კორპუსებში.

აღსანიშნავია, რომ როგორც გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ პირებს, ასევე წითელი აგურების კორპუსებში თვითნებურად შესახლებულ პირებს არაერთხელ მიუმართავთ შესაბამისი გამგეობისთვის პრობლემის მოგვარებისა და მათთვის ფართების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, თუმცა ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ხსენებული საკითხები წლების განმავლობაში რჩებოდა მოუგვარებელი.

ასევე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირების ნაწილმა დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით მიმართა საქართველოს საერთო სასამართლოებს და სასამართლო დავების ნაწილი მიმდინარეა, ხოლო ნაწილზე არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულმა პირმა მოიპოვა საკუთრების უფლება გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ ბინაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს კანონით დადგენილი ფორმით იმ პირთათვის საკუთრების უფლების გადაცემა, ვინც წლების

განმავლობაში ფლობს კონკრეტულ ფართს და რაიმე მიზეზის გამო ვერ ახდენს აღნიშნულ ფართზე საკუთრების უფლების მოპოვებას.გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ქონებრივ უფლებებს ახორციელებენ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიზანია გადაწყვიტოს როგორც ზემოაღნიშნულ უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებული პირების საკუთრების უფლების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის, ასევე მითითებულ ფართებში უნებართვოდ შეჭრილი იმ პირების საკუთრების უფლების რეგისტრაციის საკითხი, რომლებიც ხანგრძლივად ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული ფართებით და ეს ფაქტი დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითნებურად შესახლებული პირების საკითხის მოგვარების მიზნით, საჭიროა, თავდაპირველად დაკმაყოფილდნენ ის პირები ვისზეც არის გაცემული შესაბამისი უფლების დამადასტურებელი გადაწყვეტილებები. მხოლოდ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შემდგომ იქნება შესაძლებელი იმ პირთა საკითხის გადაწყვეტა, ვინც წლების განმავლობაში ფაქტობრივად ფლობს წითელ აგურებში არსებულ ფართებს.

ხსენებული პრობლემის მოგვარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“) მოიძია ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონების გამგეობების მიერ სხვადასხვა წლებში მიღებული გადაწყვეტილებები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. მოძიებული დოკუმენტაციის საფუძველზეგამოავლინა იმ პირთა ნაწილი, ვისაც აღნიშნული გადაწყვეტილებებით უნდა გადასცემოდათ შესაბამისი ფართები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზაობას იმ პირებს, ვინც შესაბამის თანხმობას განაცხადებს მუნიციპალიტეტის შეთავაზებაზე, საკუთრებაში გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა ფართი, გადაწყვეტილებებით განსაზღვრული წითელი აგურების კორპუსებში მდებარე ბინების სანაცვლოდ და იმ პირობით, რომ ისინი უარს იტყვიან აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.აღნიშნული პირების დაკმაყოფილების შემდგომ, შესაძლებელი გახდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხილულ იქნას საკითხი წითელი აგურების კორპუსებში, თვითნებურად შესახლებული პირებისთვის, მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების, კანონით დადგენილი ფორმით საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N22.2101.2251 განკარგულების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: ,დაევალოს სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას: ა) ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070), კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007), კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034), კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37-თან (ს/კ 01.19.39.009.092) დაკავშირებით გამოცემული - ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონების გამგეობების გადაწყვეტილებებით

გათვალისწინებულ მოთხოვნის უფლების მქონე პირებს, შესთავაზოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების კანონით დადგენილი ფორმითპირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება იმ პირობით, რომ აღნიშნული პირები:

ა.ა) ხსენებული გადაწყვეტილებების, ასევე, არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე მათთვის მიკუთვნებულ ფართებზე მოთხოვნის უფლებას უსასყიდლოდ დაუთმობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. ა.ბ) უარს იტყვიან ხსენებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ა.გ) უარს იტყვიან ხსენებული გადაწყვეტილებებით მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე. ბ) წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ამავე პუნქტით გათვალისწინებულ პირველად შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, განმეორებით შესთავაზოს აღნიშნულ პირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ალტერნატიული ფართები იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში ექნება შესაბამისი ფართ(ებ)ი. გ) წინამდებარე განკარგულების „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების დარეგულირების შემდგომ, განიხილოს ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070), კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007), კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034), კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37-ში (ს/კ 01.19.39.009.092) არსებული თვითნებურად დაკავებული ფართების შესაბამისი ფაქტობრივი მოსარგებლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0323025181-03-25.01.2023)

საკითხი წარმოადგინა ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანმა. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტით წესის მე-5 მუხლს ემატება მე-2 და მე-3 პუნქტები, რომელთა თანახმად, დაინტერესებულ პირთა ნაწილობრივი თანხმობის პირობებშიც იქნება შესაძლებელი ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, პროექტის განმახორციელებელს ეძლევა საშუალება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები შემდგომში სხვადასხვა ავარიული საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება განიცადა წესის მე-8 მუხლის პირველმა პუნქტმა, სადაც აღინიშნა ავარიული საცხოვრებელი სახლის სხვა ტერიტორიაზე ჩანაცვლების შესაძლებლობის შესახებ. წესის მე-8 მუხლში მე-7 პუნქტის დამატებით, დადგინდაუკვე დემონტირებულ ან/და დანგრეულ ავარიულ შენობა-ნაგებობაში

დაინტერესებულ პირთათვის გადასაცემი ფართების განსაზღვრის კრიტერიუმები. ამავდროულად, პროგრამის მიმდინარეობამ აშკარა გახადა კომერციული ფართების კომპენსირების აუცილებლობა, რის გამოც, შეიცვალა წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი. იმ ფართებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებაც ხდება საცხოვრებელი დანიშნულებით, დაინტერესებულ პირთა ბინის ქირის კომპენსაციით უზრუნველყოფისაკითხებს აწესრიგებს „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი. წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული ახალი რედაქცია აწესებს გამონაკლისს ქვეპროგრამის განხორციელების პროცედურიდან. კერძოდ, ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლებისას დაინტერესებული პირის ან მისი ოჯახის წევრის სხვა საცხოვრებლად ვარგისი უძრავი ქონებისა და დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობისთვის ქირის გადახდის საშუალების არსებობის საკითხი, ისევე როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მისამართის არარსებობა აღარ იქნება განხილული კომპენსაციის გაცემის დამაბრკოლებელ გარემოებად. ზოგადად, „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი ბინის ქირის კომპენსაციის გაცემას ალტერნატიული ფართის ქირავნობის ხელშეკრულების წარდგენას უკავშირებს, თუმცა, ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, წესში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონის გამგეობებს უფლება ეძლევათ ასეთი ხელშეკრულების წარდგენის გარეშე, ყოველთვიური ბინის ქირის კომპენსაციის სახით ყოველთვიურად გასცენ ფულადი თანხა 500 ლარის ოდენობით. ხოლო, კომერციული ფართების კომპენსირებას, ამავე ოდენობით, უზრუნველყოფს პროექტის განმახორციელებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი“ (ს/ნ 404384974), წესის მე-10 მუხლს დამატებული მე-6 პუნქტის შესაბამისად. რაც შეეხება, წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ცვლილებას, აღნიშნული ატარებს მხოლოდ რედაქციულ ხასიათს.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0322364120-03 30.12.2022; №12-032302082-03 20.01.2023; №12-03230231-03 - 23.01.2023; №12-0323025104-03 25.01.2023; №12-032220211-03 - 21.07.2022 (გადადებული „ბ“ პოზიცია); 12-032230647-03 - 02.11.2022 (გადადებული „ე“ პოზიცია); 12-03230266-03- 26.01.2023)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-0322364120-03 30.12.2022; №12-032302082-03 20.01.2023; №12-03230231-03 - 23.01.2023; №12-0323025104-03 25.01.2023; №12-032220211-03 - 21.07.2022 (გადადებული „ბ“ პოზიცია); 12-032230647-03 - 02.11.2022 (გადადებული „ე“ პოზიცია); 12-03230266-03- 26.01.2023) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 1 წინადადება კერძოდ:

№12-0322364120-03 30.12.2022;

ა) ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N82-ის მიმდებარედ, ბაგების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.10.001.100) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 20 დეკემბრის N01223543258 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა. საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N82-ის მიმდებარედ, ბაგების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.10.001.100) ნაწილზე სატყეო ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა N78ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.039.592) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის და სატრანსპორტო ქვეზონის ერთიანი და სწორხაზოვანი კონტურის შენარჩუნების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტი მიწის ნაკვეთის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა N78ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.039.592) ნაწილზე, მიმდებარედ არსებულ N01.72.14.039.515, N01.72.14.039.591, N01.72.14.056.023 საკადასტრო ერთეულების ნაწილებზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგურ ველში II ტრესტის სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქვემო ალექსეევკა, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.31.010.032; N01.19.31.010.046) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 23

დეკემბრის N01223572351 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის და სატრანსპორტო ქვეზონის ერთიანი და სწორხაზოვანი კონტურის შენარჩუნების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტი მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (გრუნტის გზაზე) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგურ ველში II ტრესტის სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქვემო ალექსეევკა, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.31.010.032; N01.19.31.010.046) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ითა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღება;

დ) ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N115-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.18.09.009.003) მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. N01.18.09.009.003 საკადასტრო კოდიით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა, რომელიც მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ 2022 წლის 17 აგვისტოს N39-01222292279 წერილით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 2 დეკემბრის N01223363454 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებული N01.81.03.041.001 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. აღნიშნული სახით ფუნქციური ზონის ცვლილება მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 დეკემბრის N22.1846.2004 განკარგულებით და დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. საკითხი განიხილა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიამ და მიიღო გადაწყვეტილება რეკომენდაციით მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას (2022 წლის 22 დეკემბრის N03-0322356151 წერილი) მოხდეს ხელახალი ინიცირება და განხორციელდეს პირობადადებული ფუნქციური ზონის ცვლილება. კერძოდ, პირობად განისაზღვროს - ფუნქციური ზონის ცვლილება მხოლოდ სკვერის მოწყობის მიზნით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N115-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.09.009.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე და N01.81.03.041.001 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე

სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება, სკვერის მოწყობის მიზნით, მისაღება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ე) ქალაქ თბილისში, ფონიჭალა, ღოდობერიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.037; N01.18.13.021.005) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანებული ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 დეკემბრის N01223612498 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფონიჭალა, ღოდობერიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.037; N01.18.13.021.005) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანებული ფენის მოხსნა მისაღება;

№12-032302082-03 20.01.2023;

ა) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.312.003) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 13 იანვრის N01230132452წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 17 იანვრის N01230171676წერილის შესაბამისად განსახილველი მიწის ნაკვეთის სამხრეთ მიჯნაზე ფიქსირდება შპს „ საქართველოს მელიორაციის“ (204524568) სასარგებლოდ სერვიტუტით დატვირთული მონაკვეთი, რომლისთვისაც მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, არ იარსებებს კავშირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება არ არის მიზანშეწონილი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.312.003) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, დავით ნიშნიანძის ქუჩა N33ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნობრიობას წარმოადგენს სასტუმრო კომპლექსის განთავსება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 13 იანვრის N01230132617წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო

ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 6 დეკემბრის N61-01223404377 წერილის შესაბამისად N01.12.02.007.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, წარმოადგენს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ განკარგულ ქონებას, შესაბამისად, ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი N01.12.02.007.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) დამოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იმ პირობით, რომ დაინტერესებული მხარე დაფარავს ფუნქციური ზონის ცვლილებითა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნით განპირობებულ ფასთა შორის არსებულ სხვაობას, რომელიც დადგინდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში, ხარვეზის სახით N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) და მიმდებარედ არსებული N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია ფასთა შორის არსებული სხვაობის გადახდის პირობით;

გ) ქალაქ თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა 21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.018.065) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე ფუნქციური ზონის ცვლილება. ზონის ცვლილების არეალს მოიცავს N01.18.04.018.069; N01.18.04.018.025; N01.18.04.018.014; N01.18.04.018.088, N01.18.04.018.066, N01.18.04.018.035, N01.18.04.018.019, N01.18.04.018.072, N01.18.04.018.012, N01.18.04.018.085, N01.18.04.018.067, N01.18.04.016.068, N01.18.04.016.013, N01.18.04.016.034, N01.18.04.016.044, N01.18.04.016.058, N01.18.04.016.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია. ზემოაღნიშნულ არეალზე, სატყეო ზონის (1354კვ.მ), სატრანსპორტო ზონა1-ისა (ტზ-1) (103კვ.მ) და საცხოვრებელი ზონა3-ის (სზ-3) (9კვ.მ) საცხოვრებელი ზონა3-ით (სზ-3) (1202კვ.მ), სატყეო ზონითა (100კვ.მ) და სატრანსპორტო ზონა1 -ით (ტზ-1) (164კვ.მ) ცვლილების ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხთან დაკავშირებით დადებით პოზიციას აფიქსირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 27 დეკემბრის N18-01223612453 წერილით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების 2023 წლის 18 იანვრის N01221471009- 67 წერილის შესაბამისად, მოთხოვნილი ცვლილებით ხდებოდაქობრივი მდგომარეობის ასახვა, აგრეთვე, მოთხოვნილი ზონის ცვლილება შესაბამისობაშია N01.18.04.018.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზებისქემასთან. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 დეკემბრის N60-01223541523 წერილის შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N40 15.12.2022წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:N01.18.04.018.065) მიმდებარე არეალზე ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატყეო ზონის, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) და სატყეო ზონით ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა 21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.018.065) ნაწილზე ასევე, N01.18.04.018.069; N01.18.04.018.025; N01.18.04.018.014; N01.18.04.018.088, N01.18.04.018.066, N01.18.04.018.035, N01.18.04.018.019, N01.18.04.018.072, N01.18.04.018.012, N01.18.04.018.085, N01.18.04.018.067, N01.18.04.016.068, N01.18.04.016.013, N01.18.04.016.034, N01.18.04.016.044, N01.18.04.016.058, N01.18.04.016.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზესატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3)საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), სატყეო ზონითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

